პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1

ივლისი სამშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 40-ე წელი • № 151 (14451)

საქართველოს პარტიული აქტივის კრება

საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელნი მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობასა და პოზიციას კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირზე, რომლის მიზანი იყო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების გაბედულად დაცვა, ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა რესპუბლიკის პარტიული აქტივის 30 ივნისს გამართულ კრებაზე გამოსული ყველა ორატორის სიტყვას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საწარმოო კოლექტივების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ინტელიგენციის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლები.

კრების პრეზიდიუმში არჩეული იქნენ ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუნიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი**, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები.

კრების მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მოხსენება — „კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგების შესახებ“, რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

მოხსენების განხილვაში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ი. ლოლაშვილი**, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ო. კობახია**, რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ რედაქტორი **დ. ვ. მჭედლიშვილი**, აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. მ. დავითაძე**, საქართველოს კომპარტიის ლენინგორის რაიკომის პირველი მდივანი **ა. გ. მარგიევი**, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ნ. ი. მუსხელიშვილი**, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების პოლიტგანყოფილების უფროსი **ნ. ა. პონომარიოვი**, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ამწყობი ზეინკალი **ი. დ. გელაშვილი**, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დირექტორი **დ. ს. მჭედლიძე**, პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. ა. დურბარიანი**, რომლებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას, განაცხადეს, რომ მზურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ საქმიანობას.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღუთქვამს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდებიან ლენინის დიად იუბილეს. (საქდესი).

ლენინურ ეკონომიკურ ბანკაზე

ექვსი თვის გეგმა შეასრულეს

ტყიბული. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა (უფროსი გ. რაზმაძე, მთავარი ინჟინერი ვ. მარუაშვილი) მიმდინარე წლის უკვე ამოიღო და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას გაუგზავნა 31 ვმელონი საკოქსე ქვანახშირი, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება დიდი გადაჭარბებით სრულდება. მოწინავე შახტმა ვადაზე 17 დღით ადრე უპატაკა „შავი ოქროს“ მოპოვების ნახევარი წლის დაკალების შესრულება. წმენდითი სანგრევის საშუალო თვიური დატვირთვა მიმდინარე წლის განვლილ ხუთ თვეში გეგმასთან შედარებით 117 ტონით გაიზარდა.

ლენინური შრომითი ვახტის დღეებში აქ ყველა საექსპლოატაციო უბანი, ცვლა და ბრიგადა წარმატებით მუშაობს. მაგრამ მათ შორის მაინც იხ საექსპლოატაციო უბნები გამოირჩევიან, რომლებსაც მ. ვერულაშვილი, ღ. კორძაძე და კ. კუბლაშვილი ხელმძღვანელობენ.

კურეული ავიღოთ 12 საუუბაკო დღეში

მიუკაშვილის ბრიგადის ინიციატივა მიღებულია

გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გავეცანით სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის ახალგაზრდა კომბაინერის გივი მიუკაშვილის წერილს რესპუბლიკის კომბაინერებისადმი. ტიბაანელი მექანიზატორის ამ თაოსნობამ ჩვენი სოფლის მექანიზატორთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

წერილის ბოლოს აღნიშნულია, რომ იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს ჩვენი კოლმეურნეობის ახალგაზრდა მექანიზატორებს. **მიუკაშვილის გამოწვევას ვიღებთ და ვალდებულებას ვკისრულობთ თვითეულმა 12 სამუშაო დღეში ავიღოთ კურეული 250 ჰექტარზე, მკის დროს დავზოგოთ 10 პროცენტი საწვავ-საცხები.** ჩვენს კოლმეურნეობას 3.170 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები უთესია. მუშაობას ისე მოვაწყობთ, რომ კურეულის აღებას დავამთავრებთ 12 სამუშაო დღეში, გადამეტებით შევასრულებთ საწელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმას. ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლა დავიწყეთ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის კომბაინერს გ. იაკობიშვილსა და ოზაანის კოლმეურნეობის მექანიზატორს მ. ჩალხუმაშვილს.

მ. ტალიაშვილი,
ქ. ყველაიძე,
გ. ტუხაშვილი,

წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა კომბაინერები.

მკიან ივრისპირეთში

სიღნაღის რაიონი რესპუბლიკის პურის ერთ-ერთი ბელელია. აქ ზღვასავით ღელავენ ოქროსფერი ყანები. სიღნაღელებიც არ აყოვნებენ, დიდი თუ პატარა მინდვრად გასულან. ბეჯითად შრომობენ სოფელ ბოდბის მშრომელები, რომ უდანაკარგოდ აიღონ პურეულის მოსავალი. ტიბაანელი მექანიზატორის გ. შიუკაშვილის თაოსნობა მოიწონეს ბოდბელმა მექანიზატორებმა ბეგა ოთარაშვილმა, ვასილ კოჭლამაზაშვილმა და სოსო ლოლაშვილმა. მათ რაიონში პირველებმა დაამთავრეს ქერის აღება და ახლა ხორბლის მკას შეუდგნენ. ყოველდღე 17-18 ჰექტარ პურეულს მკიან ნაცვლად 10 ჰექტარისა და ჰექტარზე 22 ცენტნერ ხორბალს ღებულობენ. გეგმა კი 18 ცენტნერს ითვალისწინებს. ასეთია ბოდბელ მექანიზატორთა მკის პირველი დღეების შედეგები.

ივრისპირეთში ახლა ნამდვილი ალოობაა გაჩაღებული, ჩვენი მშრომელები იმკიან თავიანთ შრომის ნაყოფს, — გვითხრა ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივ. ბიკაშვილმა, — 1.137 ჰექტარზე ავიღებთ პურეულს, საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერ მარცვალს მოველით, გეგმა კი 15 ცენტნერს ითვალისწინებს. 350 ცენტნერზეა აღებული პურეული, მიღებულია 7.000 ცენტნერი მარცვალი. კალოზე მარცვალს ვაშრობთ, ვწმენდთ მანქანების დახმარებით და სულ მალე სახელმწიფოს მივყიდით ახალი მოსავლის პურს.



სურათებზე: პურის მკა ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში (ზემოთ); სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელ მარცვლეულს მექანიზებულ კალოზე ასუფთავებენ (ქვემოთ).

ფოტო და ტექსტი
გ. გოგოხიასი.

მკა დაიწყო

დაიწყო მემინდვრეთა სიხარული, მაგრამ ამასთან ყველაზე დაძაბული დრო—მკა. იგი აგვირგვინებს და აჯამებს მბვნელ-მთესველთა მთელი წლის შრომის შედეგებს.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის მეტ წილ რაიონებში მიმდინარეობს მზადება მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. მექანიზატორები ამოწმებენ თვითეულ მანქანას, თვითეულ ავრეგატს. ასობით ტრაქტორისტი, კომბაინერი, მემანქანე ეგზამენებს ადგენენ სოციალისტურ შეჯიბრებაში იმისათვის, რომ ხანმეტად მოემზადონ და შემჭიდროებულ ვადებში აიღონ მოსავალი.

მბვნელ-მთესველებს წელს ბევრი საზრუნავი აქვთ. სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ სულ მცირე 90.000 ტონა მარცვლეული. მოსავლის აღება ზოგან უკვე დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს. ახლა მთავარია მისი დაბინავება. ხალხური ანდაზა ამბობს: „მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია“. ამიტომ არის, რომ მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები მკისათვის მზადებას ზამთარშივე იწყებენ. მათ კარგად იციან, რომ მოსავლის აღება ხეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. მზად ვიყოთ მკისათვის — ეს ამას ნიშნავს, რომ პურეული ავიღოთ სწრაფად, უდანაკარგოდ, ამავე დროს საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

ამას წინათ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის კომბაინერის გ. შიუკაშვილის წერილი რესპუბლიკის კომბაინერებისადმი მოსავლის უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ ვადებში აღებისათვის სოცშეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ეჭვი არ არის ჩვენი რესპუბლიკის მექანიზატორები მას ფართოდ დაუჭერენ მხარს და ჩაებმებიან სოცშეჯიბრებაში.

მისაბაძია წითელწყაროელ მემინდვრეთა მაგალითი. ისინი ყოველწლიურად ზრდიან მოსავლიანობას. მარშან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1968 წლის შედეგები. სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის არის საქართველოს სსრ, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის წითელწყაროს რაიონი, რომელსაც მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს წითელი დროშა და ფულადი პრემია. წელსაც წითელწყაროელები ბეჯითად შუმობენ იმისათვის, რომ კვლავ შეინარჩუნონ გარდამავალი წითელი დროშა და სწრაფად, უდანაკარგოდ აიღონ პურეულის მოსავალი.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება თითქმის მთლიანად მექანიზებულია. ამიტომ გადამწყვეტი სიტყვა ჩვენს სახელოვან მექანიზატორებს, კომბაინერებს, მეშტურვალეებს ეკუთვნით. ყველა კომბაინი კარგი საათის მექანიზმივით უნდა მუშაობდეს. დროულად უნდა დამთავრდეს კომბაინებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტი. სწორედ ასე მოიქცნენ სიღნაღის რაიონის მშრომელები. მათ გათვალისწინებული 77 კომბაინის, 14 მარცვალსაწმენდი მანქანისა და მკისათვის სხვა საჭირო მანქანების რემონტი დროულად დამთავრეს და მკისაც წარმატებით აწარმოებენ. ამ მხრივ მუშაობის ტემპი კარგია გარდაბნის, ლაგოდეხის, ქარელის, მცხეთის, ბოლნისის, გურჯაანისა და სხვა რაიონებში.

ამავე დროს ბევრ რაიონში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ნელა ემზადებიან მკისათვის, სერიოზულად ჩამორჩებიან კომბაინებისა და სამკელი მანქანების შეკეთების საქმეში. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით დმანისის რაიონში თავთავიანი მარცვლეული კულტურების ასაღებად ცუდად ემზადებიან. რაიონში შესაკეთებელია 23 მარცვლის ასაღები კომბაინი, ფაქტიურად შეკეთებული აქვთ მხოლოდ ერთი კომბაინი. მართალია, წალკის, ახალქალაქისა და სხვა მთიან რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში პურეულის მოსავალი გვიან შემოდის, მაგრამ მიუტევებელია, რომ აქაურებენ კომბაინების რემონტს. მათ ეს სამუშაო სანახევროდაც არ შეუსრულებიათ.

მეურნეობათა კომპლექსური ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციაში ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ და კიდევაც უნდა გააკეთონ „სოფლტექნიკის“ სპეციალისტებმა. მთელი რიგი რაიონების მექანიზატორები საფუძვლიან პრეტენზიებს უყენებენ მათ. რედაქციაში მოდის სიგნალები, რომ მკისათვის გაცხარებული მზადებისას ზოგიერთი სარემონტო საწარმო დროზე არ ასრულებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეკვეთებს ან ამთავრებს მანქანების რემონტს. მაგალითად, ახალქალაქის „სოფლტექნიკას“ კარგი ტექნიკური ბაზა აქვს და გამოცდილი კადრები ჰყავს, მაგრამ რა ფასი აქვს მათი სახელოსნოს მუშაობას, თუ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით 22 კომბაინი შეუკეთებელი აქვთ!

ალოობა დგება არა მარტო მბვნელ-მთესველებისათვის, არამედ დამამზადებელი ორგანიზაციათა მუშაკებისთვისაც. მათი მოვალეობაა ახალი მოსავლის მარცვლის მასობრივი შემოტანის დაწყებამდე მოაწესრიგონ ელევატორებისა და პუნქტების მთელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოსავლის შეუფერხებელი მიღებისათვის.

განსაკუთრებული ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ მოსავლის აღებაზე მომუშავე მშრომელებისათვის. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებმა, ოფოპერატორებმა მოსავლის აღების პერიოდში მაქსიმალურად უნდა დააკმაყოფილონ მშრომელთა კანონიერი მოთხოვნილებანი, განახორციელონ მოწინავეთა მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებანი.

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება 1969 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დადგენილებით გათვალისწინებული საბრძოლო ამოცანები დროულად უნდა შეასრულონ.

პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ 1969 წელს მოსავალი აღებულ იქნას უდანაკარგოდ, საჭირო რაოდენობით დამზადდეს საკვები, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმა.

მოსკოვის ოლქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 1969 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმა

მოსკოვის ოლქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1969 წლის პირველი ნახევრის გეგმა.

ივნისის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოშვებული და რეალიზებული იქნება ათეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია.

ოლქის მრეწველობამ შეასრულა შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების წლის პირველი ნახევრის გეგმა.

უკრაინის კომკავშირული ორგანიზაცია დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით

სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ვ. ი. ლენინის ანდერძისადმი ერთგულების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდაში გაწეული დიდი მუშაობისათვის და უკრაინის აღკკ 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უკრაინის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი დააჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. (საქდესი).

ვ. პ. მჟავანაძის შეხვედრა

გულგარეთ-საბჭოთა კავშირის კლუბის წევრებთან

29 ივნისს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის კლუბის მეხუთე სხდომის მონაწილეებთან, რომელიც ათ დღეს მიმდინარეობდა თბილისსა და ბათუმში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძეს კლუბის წევრებს გულითადად მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, გულთბილად მიულოცა მათ საბჭოთა ახალგაზრდობის დღე.

— საგულისხმოა, — თქვა ვ. პ. მჟავანაძემ, — რომ ჩვენი შეხვედრა მიმდინარეობს ახალგაზრდობის სანიხარულო დღესასწაულის დროს, ახალგაზრდობისა, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძვის ლენინის საქმის გამარჯვებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილი ჩვენი კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები გულწრფელი მეგობრობის გრძნობით არიან გამსჭვალულნი ყველა კონტინენტის და, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური ქვეყნების მშრომელი ახალგაზრდობისადმი.

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის კლუბი დიდ და სასარგებლო მუშაობას ეწევა. იგი აერთიანებს ჩვენი ორივე ქვეყნის ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის მეცადინეობას კომუნისტური მსოფლმხედველობის ერთობის საფუძველზე, ეწევა კულტურის დარგში მიღწევათა ურთიერთ პროპაგანდას, აფართოებს და განამტკიცებს საბჭოთა კავშირის, ბულგარეთისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ახალგაზრდობის ძმურ კავშირს. სასიხარულოა, რომ კლუბის მეხუთე სხდომაში მონაწილეობენ უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის შემოქმედებითი ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში ხალხისა და ისტორიის წინაშე ხელოვანის პასუხისმგებლობის შესახებ შემოქმედებითის დისკუსიას, რომელსაც ამ დღეებში აწარმოებდით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ძნელია გადაჭარბებით შეფასოს, — ამბობს ვ. პ. მჟავანაძე, — ხელოვანის როლი და ადგილი თანამედროვე მსოფლიოში. ეს როლი უადრესად საპატიოა და ამავე დროს უადრესად პასუხსაგებიც. ცხადია, ხელოვანი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, არის თავისი ხალხის, თავისი ეპოქის აზრების, ფიქრებისა და მისწრაფებების გამომხატველი. რა არის იმაზე მაღალი და საპატიო ამოცანა, ვიდრე მხატვრულ სახეებში აღბეჭდო შენი დროის გმირების ცხოვრება და ბრძოლა, თანამედროვის სახე!

გამჭვავებული იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში თქვენი კლუბის მუშაობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირებს, ახალგაზრდა შემოქმედებითს ინტელიგენციას დიდი წვლილი შეაქვთ მოზარდი თაობის იდეურ აღზრდაში, ხელს უწყობენ იმპერიალისტური პროპაგანდის მხილებას.

შემდეგ ვ. პ. მჟავანაძე შეეხო კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგებს, რომელმაც განსაზღვრა და შეიმუშავა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ნათელი პროგრამა, ცხადყო მოძმე პარტიების ურყევი ერთიანობა. მთელ პროგრესულ კაცობრობისათან ერთად ახალგაზრდობამ ღრმა კმაყოფილების გრძნობით აღიქვა დოკუმენტი თათბირისა, რომელმაც აღნიშნა საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა, მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი წარმატება. თავისი პარტიის, ქვეყნის გამო სიამაყის გრძნობით შესვდნენ საბჭოთა ადამიანები ამ დღეებში გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა თათბირის შედეგებს, სკკპ დელეგაციის მუშაობას კომუნისტების ამ საერთაშორისო ფორუმზე.

— საერთაშორისო თათბირის მონაწილეებმა, — ამბობს ვ. პ. მჟავანაძე, — მიიღეს მიმართვა „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ“, მოგვიწოდეს დირსეულად აღვნიშნოთ სახელოვანი იუბილე. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის კლუბის სხდომაზე განხილეთ შემოქმედებითი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო მნიშვნელობის ამ ისტორიული თარიღისათვის მზადებასთან.

ლენინიზმი გზისმანათლებელი ვარსკვლავია, რომელიც გვიჩვენებს ნათელი მომავლის გზას. ნება მიბოძეთ ახალგაზრდა მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, თეატრისა და კინოს მოღვაწეებს გისურვოთ შექმნათ მკაფიო ნაწარმოებები ჩვენი რევოლუციური ეპოქის უკვდავი გენიის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის შესახებ, ლენინიზმის მიღწევების, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების გამარჯვებათა შესახებ. ნება მიბოძეთ გისურვოთ თქვენ და თქვენი სახით თქვენი ქვეყნების მთელ ახალგაზრდობას ახალი წარმატებანი ხალხის კეთილდღეობისათვის შრომაში. გისურვებთ ნაყოფიერად დაგემთავრებინოთ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის კლუბის სხდომის მუშაობა. ჩვენს ქვეყანაში, რომლის საქმიანობაც ხელს უწყობს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

დასასრულ ვ. პ. მჟავანაძე შეხვედრის მონაწილეთ ესაუბრა საქართველოზე, მის წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე.

ახალგაზრდათა დემოკრატიული კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით, თავისი თანაკლუბელი კოლეგების სახელით გამოვიდა ახალგაზრდობის დემოკრატიული კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მრჩეველი რუმენ ნიშევი. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სტუმართმოყვარეობისათვის, გულთბილი მიღებისათვის. ჩვენი შეხვედრები, რომლებიც უკვე ტრადიციული ვახდა, თქვა მან, ყოველთვის მიმდინარეობს მეგობრობის, ამხანაგობისა და, საქმიანი თანამშრომლობის ვითარებაში. გვინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ხელს უწყობდა ჩვენი კლუბის ნაყოფიერ შუმაობას.

რუმენ ნეშევმა აღნიშნა, რომ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის კლუბს მუდამ მხარს უჭერენ ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის პარტიული ორგანიზაციები. ამ მხარდაჭერისათვის, ამ ყურადღებისათვის, თქვა მან, დიდ მადლობას ვუძღვნით ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ი. ჭანუყვაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. ვ. მეტრეველი და გამომცემლობა „ოლოლადა გვარდიას“ დირექტორი ვ. ნ. განინიეი. (საქდესი).

საგბჭოთა ახალგაზრდობის დღე

კვირას, 29 ივნისს, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ქალიშვილებისა და ჭაბუკების განკარგულებაში იყო, რომელმაც აქ აღნიშნეს თავიანთი ტრადიციული დღესასწაული — საბჭოთა ახალგაზრდობის დღე.

ახალგაზრდებთან სტუმრად მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები.

დღესასწაულს ზეიმის იერს აძლევდა ის, რომ მას ესწრებოდნენ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის კლუბის წევრები, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის კომკავშირის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გაბუნიამ, რომელმაც სტუმრებს უსურვა ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ, თბილისის „ელექტროავტომატის“ ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. წულაიამ, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო ნაწილის კურსანტმა ვ. ანტონოვმა, თბილისის 22-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. ‘ნარაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ჭადრაკში ნ. ალექსანდრიამ, ჰოეტმა მ. ფოცხიშვილმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

სარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება

საქართველოს სს რესპუბლიკაში

1969 წლის 30 ივნისისათვის (ტონოგით)

	ჩაისა და იენანის თვე-ლის გეგმა	ფაქტ.	პროცენ-ტობით
აფხაზეთის ასსრ	18983	20712	109
გალის	10277	11076	108
ოჩამჩირის	6318	7051	112
გუდაუთის	1632	1755	108
გულრიფშის	586	636	109
სოხუმის	172	194	113
აჭარის ასსრ	16879	19382	115
ქობულეთის	12163	13486	111
ბათუმის	4461	5602	126
ქედის	255	294	115
მახარაძის	20007	20789	104
ზუგდიდის	13902	14790	106
ფალენჯიხის	6516	7476	115
ლანჩხუთის	5557	5698	103
ბეგეჯორის	5062	5811	115
ჩხოროწყუს	4462	5395	121
ჩოხატაურის	3111	3306	106
წულუკიძის	2396	2539	106
წალენჯიხის	2381	3117	131
ცხაკაიას	2238	2847	127
ტყიბულის საქა-ლაქო საბჭო	2136	2267	106
ხობის	2024	2179	108
სამტრედიის	672	645	96
აბაშის	251	289	115
თერჯოლის	204	300	147
ჭიათურის საქა-ლაქო საბჭო	192	58	30
ვანის	91	114	125
ზესტაფონის	21	38	181
სულ	107085	117752	110
1968 წლის 30 ივნისისა-თვის იყო	107090	83397	78
მათ შორის ჩაისა და სუბ-ტროპიკული საბჭოთა მეურ-ნეობების ტრესტი	22147	23856	108

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

215.000 ტონა ჩაისათვის

იწონებენ, მხარს უჭერენ

საქართველოს მშრომელთა ხმა, მათი პატრიოტული [illegible]

ჩვენი პლანეტის საზოგადოებრიობის ყურადღებას ცენტრშია შედეგები კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირისა, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა 5-დან 17 იანვისამდე. თათბირმა განიხილა კომუნისტური მოძრაობის აქტუალური პრობლემები, მისი ამოცანები მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპზე. თათბირზე, რომელიც მონაწილეობდნენ 75 მოძმე პარტიის დელეგაციები, გაიშალა ღრმა, პრინციპული, საქმიანი, გულახდილი და თავისუფალი მსჯელობა იმპერიალიზმის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლის ძირეულ საკითხებზე.

თათბირმა მიიღო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და კომუნიტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა". თათბირმა მიიღო აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტები: „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ", „მოწოდება მშვიდობის დასაცავად", მიმართვა „დამოუკიდებლობა, თავისუფლება და მშვიდობა ვიეტნამს".

„თათბირზე მიღებული დოკუმენტები ყველას გვაძლევენ ახალ იარაღს ჩვენს საერთაშორისო ბრძოლაში, — თქვა საერთაშორისო თათბირის მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ალმ. ლ. ი. ბრეჟნევმა. — ისინი დაეხმარებიან ყველა ქვეყნის კომუნისტებსა და მშრომელებს უფრო ნაოლად დაინახონ იმპერიალისტური აგრესიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ შემფრთხი ბრძოლის გზები. ეს დოკუმენტები ჩვენი ერთობლივი ძმური მოწოდებაა დედამიწის მთელი პატიოსნი პროგრესული ძალებისადმი, რომლებიც ხალხთა თავისუფლების, მშვიდობისა და ბედნიერების საქმისათვის იბრძვიან".

საქართველოს მშრომელები მხურვალედ იწონებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის დიდი ფორუმის მიერ მიღებულ დოკუმენტებს.

ამის ნათელი გამომსატყველია მშრომელთა წერილების ნაკადი, რაც „კომუნისტის" რედაქციაში შემოდის. ჩვენი ხალხი, ჩვენი მკითხველები მადლიერებითა და შთაგონებით აღიქვამენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ამჟამად მსოფლიოში გადამწყვეტი ძალა გახდა, რომ იმპერიალიზმი განწირულია დასაღუპავად, რომ მომავალი ეკუთვნის სოციალიზმსა და კომუნიზმს.

ქვემოთ ვბეჭდავთ „კომუნისტის" მკითხველთა მიერ გამოგზავნილ წერილებს.

გ. გაფრინდაშვილი (ციაოურა): მარგანტრესტის ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა ერთიანი უძველესი საწარმოა არა მარტო ჩვენს რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში. იგი თავისი არსებობის ასზე მეტ წელს ითვლის. ქარხანა ამჟამად ამზადებს უყრძნის პირველადი გადამუშავების მანქანა-დანადგარებს, რაც იგზავნება როგორც ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხეში, ისე საზღვარგარეთ.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოში მანქანა-დანადგარები მოძველებულია, ხოლო ქარხნის ტერიტორია საშუალებას არ იძლევა დამონტაჟებულ იქნას ახალი ტექნიკური სამძლავრეები, ასეთ პირობებშიც კარგად გამოჩნდა ქარხნის დირექტორის ლ. აივაზოვის, მთავარი ინჟინრის კ. კილაძის, პარტბიუროს მდივნის ს. გელაშვილის, კომკავშირის ორგანიზაციის მდივნის ა. ხარქილოვის ორგანიზატორული უნარი, დაკისრებული მოვალეობის შესრულების საქმეში პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა. მათ კარგად დარაზმეს მთელი კოლექტივი და 1966 წლიდან მოყოლებული საწარმო დიდი გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საწარმო უშვებს მხოლოდ და მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია. ამჟამად ქარხანა იბრძვის კომუნისტური შრომის საწარმოს სამპატიო სახელის მოსაპოვებელად.

ჩვენი რაიონის საფინანსო განყოფილებას მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება, ხოლო მისი 24 მუშაკი კომუნისტური შრომის დამკვრელია. ეს იმის შედეგია, რომ განყოფილების მუშაკები გამგის ლ. გველესიანის ხელმძღვანელობით დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოვალეობას.

მოსახალია ობოლისის ი. ჭავჭავაძის სახელობის 28-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივიც, რომელსაც სათავეში უდგას რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გ. კუტუბაძე. სკოლა თავისი ყოველდღიური შემოქმედებითი შრომით ცდილობს მიაღწიოს მოსწავლეთა შორის მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებს, ჩაუნერგოს ახალგაზრდობას პატრიოტიზმის გრძნობა, ინტერნაციონალური სულისკვეთება.

მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და უნარიანად რაზმავენ კოლექტივს მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის თბილისის სამოდელო ფეხსაცმელების ფაბრიკის (დირექტორი ა. ოდიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ჯ. ჩხვალიძე), საქართველოს მოდელების სახლის (დირექტორი ი. გოგოლაძე, პარტბიუროს მდივანი კალანდაძე) და სხვა კოლექტივები.

და მუდამ, როცა ბრალი პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში ვგულისხმობთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლს, მათს უდიდეს ძალას.

ამ ორი წლის წინათ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეამოწმა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. გამოირკვა, რომ ორგანიზაციის უფროსი მდივანი ნ. კუპრავა ხუსტად მუშაობდა, მოუწესრიგებელი იყო კომუნისტების აღრიცხვა, უხეშად არღვევდნენ საწევრო შესატანების აკრეფის წესებს. ამ დროისათვის არსებული ანალიზი, „ხელმძღვანელის როლი საწარმოო გეგმების შესრულების საქმეში" და სხვ. თვეში ერთხელ ვაწყობთ აგრეთვე ლენინური კითხვის საღამოებს, სადაც საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და პარტორგანიზაციათა მდივნებს, აგრეთვე რაიკომის წევრებს და პარტიულ აქტივს ვაცნობთ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს მომენტებს.

ამ და სხვა მრავალ ღონისძიებათა განხორციელებამ გააძლიერა ხელმძღვანელი კადრების პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის. „მაყოფილებით შეგვიძლია დავასახელოთ რაიონში განლაგებულ სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციათა, სამედიცინო და განათლების დარგის, საგამომცემლო საქმის, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ბევრი გამოცდილი ხელმძღვანელი, რომლებიც კვალიფიციურად, ცხოვრების ღრმა ცოდნით, მაღალი პასუხისმგებლობით უძღვებიან საქმეს.

თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან რაიონის საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებელო ქარხანა ერთერთი უძველესი საწარმოა არა მარტო ჩვენს რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში. იგი თავისი არსებობის ასზე მეტ წელს ითვლის. ქარხანა ამჟამად ამზადებს ყურძნის პირველადი გადამუშავების მანქანა-დანადგარებს, რაც იგზავნება როგორც ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხეში, ისე საზღვარგარეთ.

ასეთი მაგალითები რაიონში საკმაოდ არის.

მაგრამ ხელმძღვანელის, პარტიული ორგანიზაციის მდივნის, თვითეული კომუნისტის პირად პასუხისმგებლობაზე რომ ვლაპარაკობთ, აქვე გვერდს ვერ ავუვლით პასუხისმგებლობის დაკარგვის, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტებს, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

დიახ, ჯერ კიდევ არიან ისეთი ხელმძღვანელები, ისეთი მუშაკები, რომლებსაც ზოგჯერ თავბრუ ესვევათ წარმატებებისაგან, დუნდებიან, მიდწევებს სჯერდებიან და კარგავენ პირადი პასუხისმგებლობისა და საჭირო კონტროლის გრძნობას. სწორედ ასე დაემართა № 1 სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელობასაც. წლების განმავლობაში ხომ ეს ფაბრიკა მოწინავედ ითვლებოდა და მას კომუნისტური შრომის საწარმოს სახელიც კი მიეკუთვნა. და აი შემდეგ ხელმძღვანელობისა და არასაუწყებო დაცვის მუშაკების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ცუდად შესრულების, მათი უკონტროლობის შედეგად ამ მოკლე ხანში აქ ადგილი ჰქონდა დაცვების და ქურდობის მეტად სერიოზულ ფაქტებს. უფრო მეტიც, სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელები (ყოფილი დირექტორი შ. ჭოლაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ე. მოხევიშვილი) არათუ არ იბრძოდნენ სახელმწიფო საკუთრების მტაცებელთა წინააღმდეგ, არამედ თავიანთი მოქმედებით ცდილობდნენ მიეჩქმალათ გამომძიებელებული დანაშაული.

რა თქმა უნდა, ბოროტმოქმედთ საბჭოთა მართლმსაჯულება თავიანს მიუზღავს, ხოლო ფაბრიკის ხელმძღვანელი მუშაკების მოქმედების შესახებ 27 მარტს პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს იმსჯელა და სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი სუსტი კონტროლის, აგრეთვე კომუნისტისა და ხელმძღვანელისათვის შეუფერებელი მოქმედებისათვის, ფაბრიკის დირექტორს შ. ჭოლაძეს გამოუცხადა საყვედური საალრიცხო ბარათში შეტანით, ამასთან გაათავისუფლა იგი თანამდებობიდან. პარტიული კომიტეტის მდივანს ვ. მოხევიშვილს უპრინციპო მოქმედებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო დირექტორის მოადგილეს ი. ფუტკარაძეს — საყვედური. სათანადოდ დაისაჯნენ არასაუწყებო დაცვის მუშაკებიც.

ჯერ კიდევ ბევრ დამახასიათებელსა და დანაშაულს აქვს ადგილი სავაჭრო ობიექტებზეც.

ამ და სხვა ფაქტებს კი იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერთ ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობა. ამა თუ იმ დავალების ან გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის უხეშად დარღვევას, ლახავს ორგანიზაციის, პიროვნების ავტორიტეტს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მთელი კოლექტივის საქმიანობაზე.

თვითეული კომუნისტის, თვითეული ხელმძღვანელი მუშაკის პასუხისმგებლობა რომ ავამაღლოთ, საჭიროა გაძლიერთ მათდამი მომთხოვნელობა, გავუწიოთ სისტემატური კონტროლი და დახმარება, დიდი გულმოდგინებით მოვეკიდოთ კადრების შერჩევასა და აღზრდას.

მ. დანელია.

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი.

ხელმძღვანელს მუდამ მეტს სთხოვენ

ბ. ბაზრინდაშვილი (ციაოურა): მარგანტრესტის ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა ერთ-ერთი უძველესი საწარმოა. ამ საწარმოს ბელადი იყო. პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს იმსჯელა ამ საკითხზე, მიიღო სათანადო დადგენილება. მდგომარეობის გამოსასწორებლად და რეკომენდაცია მისცა გამომცემლობის პარტიულ ორგანიზაციას მდივნად შეერჩია სხვა კანდიდატურა.

ახლად არჩეული ბიუროს მეხი მდივანი ნ. ძოწენიძე ენერგიულად შეუდგნენ რაიონული კომიტეტის შემოწმების შედეგად გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოკვეთას. დროზე მოწესრიგდა პარტიული მეურნეობა. პირველ რიგში პარტბიუროს ყურადღება გამახვილა განყოფილებათა პარტიული ორგანიზაციების როლისა და ავტორიტეტის გაზრდაზე, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე. შედეგმაც არ დააყოვნა. წარმატებით სრულდება თემატიკით დამტკიცებული ლიტერატურის გამოსაცემად მომზადება. პარტბიუროს სხდომებზე და პარტიულ კრებებზე სისტემატურად განიხილავენ შინაპარტიული მუშაობის საკითხებს, ისმენენ კომუნისტების ანგარიშებს მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ გამომცემლობაში უკვე ყველაფერი რიგზეა. აქ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ გაიზარდა კომუნისტთა პასუხისმგებლობა, ადამიანები დარწმუნებული არიან თავიანთ ძალაში, ეს კი წარმატებათა საუკეთესო გარანტიაა.

ასეთი მაგალითები რაიონში საკმაოდ არის.

მაგრამ ხელმძღვანელის, პარტიული ორგანიზაციის მდივნის, თვითეული კომუნისტის პირად პასუხისმგებლობაზე რომ ვლაპარაკობთ, აქვე გვერდს ვერ ავუვლით პასუხისმგებლობის დაკარგვის, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტებს, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

ბ. ბაბაევი (ობოლისი): ს. ჭავჭავაძის სახელობის 28-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივიც, რომელსაც სათავეში უდგას რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გ. კუტუბაძე. სკოლა თავისი ყოველდღიური შემოქმედებითი შრომით ცდილობს მიაღწიოს მოსწავლეთა შორის მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებს, ჩაუნერგოს ახალგაზრდობას პატრიოტიზმის გრძნობა, ინტერნაციონალური სულისკვეთება.

მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და უნარიანად რაზმავენ კოლექტივს მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის თბილისის სამოდელო ფეხსაცმელების ფაბრიკის (დირექტორი ა. ოდიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ჯ. ჩხვალიძე), საქართველოს მოდელების სახლის (დირექტორი ი. გოგოლაძე, პარტბიუროს მდივანი კალანდაძე) და სხვა კოლექტივები.

ბ. ბ. ... ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კადრების საკითხს და აღნიშნავდა, რომ კადრების სწორად შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმე არის მთელი მუშაობის გასაღები. ბელადის ამ მითითებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის, რომლებიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იკისრეს ჩვენი რაიონის მშრომელებმაც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია მდიდარია შესანიშნავი მაღალდაღური კადრებით, ნიჭიერი ადამიანებით, რომლებიც პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგულნი არიან. პარტიული და სამეურნეო მუშაობის სხვადასხვა დარგისათვის კადრების პოლიტიკური, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით აღზრდა ჩვენ უპირველეს მოვალეობად მიგვაჩნია.

როგორც რაიონული კომიტეტის ბიუროზე, ისე პლენუმებსა და პარტიული აქტივის კრებებზე სისტემატურად ვსწავლობთ და განვიხილავთ კადრებთან მუშაობის, კომუნისტთა მიერ საწესდებო მოთხოვნების შესრულების, კომუნისტთა ავანგარდული როლის, პარტიული დავალებების განხილვისა და მათი შესრულების, კომკავშირის საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის და მრავალ სხვა საკითხს. აგრეთვე ვისმენთ როგორც პარტიული ორგანიზაციის მდივნების, ისე სამეურნეო ხელმძღვანელების ანგარიშებს მინდობილ უბანზე მათ მიერ შესრულებული მუშაობის შესახებ. წელს, მესამე კვარტალში, განზრახული გვაქვს რაიკომის პლენუმზე სპეციალურად განვიხილოთ ჩვენი კადრების პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხი. რაიონის საწარმო-დაწესებულებებში პარტიული განათლების კაბინეტის და საზოგადოება „ცოდნის" რაიონული განყოფილების ლექტორთა ჯგუფის ძალებით იკითხება ლექციათ-მოხსენებები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: „ხელმძღვანელი და კოლექტივი", „კოლექტიური მართვა საქმის თქმა უნდა, წყვეტენ კადრები. პარტიის ოქტომბრის რაიონულმა კომიტეტმა, მისმა ბიუროს და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესეს რაიონის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობა, უფრო მეტად ზრუნავენ იმისათვის, რომ ადამიანებს ჩაუნერგონ მინდობილი საქმისადმი, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა.

ვ. ი. ... ენერგიულ ბელადის ბრძოლა ... ბრძოლის ... ბრძოლის ... ბრძოლა ... ბრძოლა ... ბრძოლა

საქართველოს სოფჩკა

კომუნისტი

საერთო სახელმწიფოებრივი თათბირი პრაღაში

პრაღა, 28 ივნისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დებეშათა სააგენტომ გადასცა კომუნიკე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნებისა და საოლქო და რაიონული ეროვნული კომიტეტების თავმჯდომარეთა საერთო სახელმწიფოებრივი თათბირის შესახებ. თათბირზე შეჯამეს პარტიული ორგანოთა საქმიანობის შედეგები ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შემდეგ. განვლილ პერიოდში და განიხილეს პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შემდგომი ღონისძიებანი. პლენუმზე მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის აქტუალური საკითხების შესახებ გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ჰუსაკმა**, რომელმაც დაახასიათა ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში გაწეული შუშაობის შედეგები. მან აღნიშნა, რომ მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებმაც დასახეს კრიზისული მდგომარეობიდან პარტიისა და საზოგადოების გამოსვლის მთავარი „ზრდი და მეთოდები, კვლავ პარტიის პოლიტიკური ხაზის საფუძველია მე-14 ყრილობამდე.

ერთი თვის მეტად დაძაბული შუშაობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პარტიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, განაცხადა გ. ჰუსაკმა, განხორციელდა დიდი დაღებითი პოლიტიკური შუშაობა, მიღწეულია აშკარა პროგრესი პარტიასა და მთელ სახელმწიფოში მდგომარეობის კონსოლიდაციისათვის. მომდინარე წლის აპრილიდან ჩეხოსლოვაკია აღარ არის მოცმული საშინაოპოლიტიკური კრიზისების ასპარეზი, თანდათანობით ნორმალური ხდება ცხოვრება ჩეხოსლოვაკიაში. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა შუშაობამ, რომელიც გასწიეს უკანასკნელ თვეში ხელმძღვანელმა შუშაკებმა და პარტიის წევრებმა.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგ პარტიის ყველა უმნიშვნელოვანესმა რგოლმა მიიღო სრული ინფორმაცია მისი შედეგების შესახებ. ყველა პარტიულმა ორგანომ და აქტივის ბეჭრმა კრებამ მხარი დაუჭირეს და მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის მაისის გადაწყვეტილებანი. გამონაკლისი იყო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის უმაღლეს სასწავლებლთა პრაღის კომიტეტი, რომელმაც არჩია ჯერ-ჯერობით არ დაიკავოს გარკვეული პოზიცია.

პარტიის ყველა რგოლი საერთოდ ეთანხმება და მხარს უჭერს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს და ახლა კონკრეტულად ამუშავებენ მათ თავიანთი პირობების გათვალისწინებით. საქმისადმი ეს აქტიური მიდგომა დადებითად უნდა მივიჩნიოთ, აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა.

ასევე შეიძლება ითქვას, რომ მაისის პლენუმის შემდეგ მოხდა პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების იდეურ-პოლიტიკური განმტკიცება. ისე როგორც ცენტრალურმა კომიტეტმა აპრილსა და მაისში გამართულ პლენუმებზე განახორციელა ცვლილებანი, რათა გაეერთიანებინა თავისი ორგანოები ქმედითუნარიანობის ასამაღლებლად, ასევე საოლქო და რაიონული კომიტეტები ახორციელებენ ცვლილებებს კადრების შემადგენლობაში, რაც ამ ორგანოებს უფრო უნარიანს ხდის განახორციელონ პარტიის ერთიანი ხაზი. ეს ცვლილებანი საშუალებას გვაძლევს განვამტკიცოთ ამ ორგანოებისა და პარტიის ერთიანობა და ავამაღლოთ მათი ქმედითუნარიანობა. ეს მეტად დადებითი მოვლენაა. საჭიროა განვაგრძოთ ასეთი ხაზი ყველგან, სადაც კი ჯერ კიდევ ნაკლოვანებანი გვაქვს.

პარტიის მუშაობა მაისის პლენუმის შემდეგ მიმდინარეობს პარტიულ ორგანიზაციებში მემარჯვენე ოპორტუნისტულ ტენდენციათა წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის ვითარებაში. გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა ეროვნული ფრონტის ორგანოთა პოლიტიკურ მუშაობაში, სახელმწიფო სექტორში, ეკონომიური ამოცანების შემუშავებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში საშუალებათა დარგში. უმჯობესდება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს პოზიცია საერთაშორისო საკითხებში. ეს წარმატებანი საშუალებას გვაძლევს გაცილებით უფრო სწრაფად ვიაროთ წინ.

ამასთან გ. ჰუსაკმა აღნიშნა ნაკლოვანებანი პარტიის მუშაობაში. პირველ რიგში ნაკლოვანებად უნდა ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ მომდინარე წლის მაისში მიღებული ცენტრალური კომიტეტის ხაზი ჯერ კიდევ ვერ გააცნეს ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციას, განაცხადა მან.

ზოგან პირველადს ორგანიზაციათა კრებებზე ჯერ კიდევ ცოტა ესწრებიან პარტიის წევრები. ჯერ კიდევ ვერ შეძლეთ პარტიის წევრების ნაწილის გამოყვანა პასიურობის მდგომარეობიდან.

განვითარების აპრილის პლენუმის მომენტიდან, აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, თან ახლავს აშკარა დიფერენციაცია როგორც პარტიაში, ისე ეროვნული ფრონტის შემადგენელ ნაწილებსა და მთელ საზოგადოებაში. მთელ საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური დიფერენციაცია პარტიის საბრძოლო შერეგის ბუნებიდან შედგება.

დღეს შეგვიძლია ზოგადად დავასახელოთ სამი მიმდინარეობა დიფერენციაციის პროცესში. იზრდება შეგნებული კომუნისტებისა და მოქალაქეების ბანაკი, რომლებიც ეთანხმებიან ცენტრალური კომიტეტის ხაზს და იზიარებენ მისწრაფებას, რომ გამოვიყენოთ ჩვენი ხალხი კრიზისიდან, განვამტკიცოთ ჩვენი მდგომარეობა და გადავწყვიტოთ კონკრეტული, უწინარეს ყოვლისა ეკონომიური, პრობლემები. ეს ბანაკი იზრდება, არის განმსაზღვრელი და უნდა მოიპოვოს სულ უფრო მზარდი გავლენა საზოგადოებაში.

მეორე, არსებობს დეზორიენტირებული ადამიანთა ჯგუფი წრე, როგორც პარტიაში, ისე მთელ საზოგადოებაში, რომლებისთვისაც საჭიროა გადაჭრით ბრძოლთ.

საფრანგეთის კომპარტიის ცკ-ის პლენუმის რეზოლუცია

პარიზი, 30 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პარიზი, კომუნისტურ და მუშათა პარტიების თათბირი დამთავრდა დიდი წარმატებით საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობისათვის, რომელიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიზმისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ავანგარდია, ნათქვამია საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეთა რეზოლუციაში, რომელიც მიღებულია შ. მარშეს მოხსენების გამო.

პლენუმი, აღნიშნულია რეზოლუციაში, იწონებს საფრანგეთის კომპარტიის დელეგაციის საქმიანობას მოსკოვის თათბირზე, რომელსაც მეთაურობდა საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ვ. რუმე.

თათბირი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კომუნისტური პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობის განმტკიცების გზაზე. საოხთა თავისუფლებისათვის, უშიშროებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლაში ახალ წარმატებათა საწინდრის — ერთობის განმტკიცების ღონისძიებანი უნდა გაგრძელდეს.

საფრანგეთის კომპარტია, აღნიშნულია დოკუმენტში, გადაჭრით იმოქმედებს ამ მიმართულებით.

საფრანგეთის კომპარტია თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს იმ თეზისებითა და პრინციპებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია თათბირის დოკუმენტში „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობა“.

თავისი ეროვნული და ინტერნაციონალური ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საფრანგეთის კომპარტია განუხრელად იბრძოლებს ჩინეთის ხელმძღვანელობა ტროცკისტ-ბუხარინელ ანტიპარტიულ ბლოკის ნგრევისა და ამ ბლოკის ანტიმარქსისტული, ანტისოციალისტური, ანტიეროვნული ბუნების გამჟღავნებისთვის.

საფრანგეთის კომპარტია ერთგულია ინტერნაციონალიზმისა, ინტერნაციონალური ერთობისა, ინტერნაციონალური ინტერესებისა. ეს ინტერესები ეფუძნება ეროვნულ ინტერესებს, ეროვნულ ინტერესებს ეფუძნება ინტერნაციონალიზმი. ეროვნული ინტერესებისა და ინტერნაციონალიზმის ერთიანობა, ეროვნული ინტერესებისა და ინტერნაციონალიზმის ერთიანობა — ეს ერთადერთი ფუძე, ეს ერთადერთი ბაზისი, ეს ერთადერთი ბაზისი, ეს ერთადერთი ბაზისი

სპარტაკიადის დღეები

ერთი გოლის ორი ქულა

ბუშინ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდების მატჩით დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტური ფეხბურთში. შეხვედრის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ტორპედოელთათვის. მატჩი შეუბოვარი გამოდგა. მისი ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომლის ავტორი იყო ბლინკოვი.

ქუთაისის „ტორპედო“ 16 ქულით მესამე ადგილზე იმყოფება.

□

ტურნირი სკო